



საქართველოს ახალგაზრდა
 ეკონომისტთა ასოციაცია

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის ანალიზი

შინაარსი

შესავალი	2
ინფორმაციის გამჭვირვალობა.....	2
მოწოდებული ინფორმაცია	2
ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია	3
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის და კვარტარული შესრულების მიმოხილვა – გამოთხოვილი ინფორმაციის სისრულე	3
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ.....	3
კვარტალური შესრულების ანგარიშები	4
მიზნობრიობა.....	4
საბიუჯეტო პარამეტრები.....	5
2014 წლის ბიუჯეტის პროექტი და ძირითადი მიმართულებები	5
ბიუჯეტის შემოსულობები	7
გადასახადები	8
გრანტები	8
სხვა შემოსავლები.....	10
საბიუჯეტო ხარჯები.....	11
შრომის ანაზღაურება	12
სხვა ხარჯები.....	13
არაფინანსური აქტივები	13
შენობა- ნაგებობები	14
მანქანა- დანადგარები და ინვენტარი	15
ბიუჯეტის ანალიზი პროგრამების და ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით.....	15
პროგრამები	15

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	15
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	16
განათლება	17
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები.....	18
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	19
ფუნქციონალური კლასიფიკაცია	20
საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება.....	20
თავდაცვა	21
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	21
ეკონომიკური საქმიანობა	22
საბინაო-კომუნალური მეურნეობა.....	22
ჯანმრთელობის დაცვა.....	23
დასვენება, კულტურა და რელიგია	23
განათლება	24
სოციალური დაცვა	24
რეკომენდაციები 2015 წლის ბიუჯეტისთვის.....	25

შესავალი

ანგარიში მოიცავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის და კვარტალური შესრულებების ანალიზს. ანგარიშში გაანალიზებულია 2014 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები, დაგეგმილ/შესრულებული შემოსავლები და ხარჯები. ანგარიშის მიზანს წარმოადგენს მისცეს რეკომენდაციები მხარჯავ დაწესებულებას, რათა უკეთ დაიგეგმოს მომავალი 2015 წლის ბიუჯეტი.

ინფორმაციის გამჭვირვალობა

მოწოდებული ინფორმაცია

საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციამ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტიდან მიიღო ნაბეჭდი სახით დოკუმენტაცია 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის და სამი კვარტლის შესრულების ანგარიშების შესახებ. ინფორმაცია გამოთხოვილ იქნა 03.11.2014 და ინფორმაციის მიღება განხორცილდა 1.12.2014. გამოთხოვნასა და მიღებას შორის გავიდა 1 თვეზე მეტი. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი საჯარო დაწესებულებას ავალდებულებს 10 დღის ვადაში გასცეს საჯარო ინფორმაცია. მოწოდებული ინფორმაცია პროგრამულ ნაწილში მოკლებულია კონკრეტიკას, რიგ შემთხვევებში შეუძლებელია სამუშაოების მოცულობის შეფასება და ბენეფიციერების რაოდენობის განსაზღვრა.

ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია

www.chokhatauri.ge-ი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდს. სამართლებრივ აქტებში მოცემულია: განკარგულებები, განცხადება, დადგენილებები, პროექტები, სხდომის ოქმები, ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ და სხვა ინფორმაცია. თუმცა, რთულია კონკრეტული ინფორმაციის მოძიება ბიუჯეტთან დაკავშირებით, რადგან მაგალითად ბრძანებებში 2014 წელს მოცემულია 317 მიმდევრობით დანომრილი დოკუმენტი. საჭიროა შეიქმნას ამ მონაცემების რეესტრი, სადაც მოკლედ იქნება აღწერილი თითოეული დოკუმენტის მოკლე შინაარსი. ასევე, ცალკე სახით განთავსდეს საბიუჯეტო დოკუმენტები, როგორც არის ბიუჯეტის პროექტი და კვარტალური შესრულების ანგარიშები. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ელექტრონული სერვისების გვერდზე არის მოქალაქეთა მოთხოვნების ელექტრონული დამუშავების სისტემა, რომელიც დამუშავების ეტაპზეა. შესაბამისად ამ ეტაპზე მოქალაქეთათვის ელექტრონული სერვისი არ არის ხელმისაწვდომი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის პროექტის და კვარტალური შესრულების მიმოხილვა – გამოთხოვილი ინფორმაციის სისრულე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ

2014 წლის ჩოხატაურის ბიუჯეტის კანონი სტრუქტურულად სრულყოფილად არის მოცემული და წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- თავი 1 – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
 - ✓ მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი
 - ✓ მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება
 - ✓ მუხლი 3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები
 - ✓ მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები
 - ✓ მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები
 - ✓ მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები
 - ✓ მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები
 - ✓ მუხლი 8. მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება
 - ✓ მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია
 - ✓ მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო
 - ✓ მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი
 - ✓ მუხლი 12. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი
 - ✓ მუხლი 13. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა
- თავი 2 – ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები
 - ✓ მუხლი 14. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები
 - ✓ მუხლი 15. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

კვარტალური შესრულების ანგარიშები

პირველი, მეორე და მესამე კვარტლის შესრულების ანგარიშები მოიცავს ინფორმაციას შემოსულობების ხარჯების შესახებ. ხარჯები მოცემულია პროგრამების და ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით.

მიზნობრიობა

პროგრამების საჭიროების დასაბუთება არ არის გამყარებული კონკრეტული დასაბუთებით, პროგრამების აღწერილობა ზოგადი ხასიათის არის.

1.1 საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01) – „ბოლოდროს გახშირებული მიწისძვრების, სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით სახანძრო სამაშველო სამსახურის კომუნალური პირობების გაუმჯობესება, სახანძრო ავტომანქანების ტექნიკური გამართვა, უნიფორმის შეძენა, სამაშველო სამსახურისათვის მაღალი გამავლობის სპეც ავტომობილების შეძენა“. პრობლემის ასეთი სახით დასაბუთებაში არ ჩანს თუ რამდენად არის გახშირებული უბედური შემთხვევები და რამდენად მწვავეა ის მოსახლეობისათვის. მხოლოდ ერთი წინადადებით არის დასაბუთებული მაღალი გამავლობის ავტომობილების შეძენა.

მუნიციპალიტეტისათვის, როგორც წესი წინასწარ არის ცნობილი წვევამდელების რაოდენობა, რომელიც უნდა იქნეს გაწვეული 2014 წელს, მაგრამ მათი რაოდენობა არ არის ასახული ბიუჯეტის პროექტში. ასევე არ ჩანს ბიუჯეტის პროგრამულ ნაწილში თუ რამდენი გამწვევი პუნქტია მუნიციპალიტეტში, ან რამდენი თანამშრომელი მოემსახურება მას. მხოლოდ ზოგადი ფრაზები არის მოყვანილი, რომ „ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტამდე ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა და სამხედრო სამსახური ფინანსური უზრუნველყოფა“.

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვაში (პროგრამული კოდი 03 01) არ არის მითითებული თუ რამდენი ხიდის რეაბილიტირება მოხდება, რა მანძილის გზის შენახვა. საჭიროა მეტი კონკრეტიკა: რაოდენობრივი და ხარისხობრივი მონაცემებით შევსება.

კომუნალური სამსახური „სხივი“ (პროგრამული კოდი 03 02 02) ეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ყოველდღიურ დაგვა/დასუფთავებას და ნარჩენების გატანას. 2014 წელს დაგეგმილია, რომ მისი ბიუჯეტი გაიზარდოს 3,5 ათასი ლარით. არ არის მითითებული პროგრამაში რა მოცულობის სამუშაოებს ანხორციელებს ეს სამსახური. შესაბამისად შეუძლებელია ანალიზის გაკეთება, ბიუჯეტის ზრდა რა ფაქტებზე არის დაფუძნებული და რა არის ბიუჯეტის ზრდის საჭიროება.

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების და მიწის ფართების რეალიზაციისათვის აუცილებელია შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება (ამას ითვალისწინებს პროგრამა 03 03 01), შესაბამისად ამ დოკუმენტაციის მოსამზადებლად ბიუჯეტით დაიგეგმა 7 ათასი ლარის გამოყოფა. თუმცა, ბიუჯეტის ბალანსში არაფინანსური აქტივების კლება არ არის გათვალისწინებული ანუ შენობების (აქტივების) გასხვისება არ იგეგმება, შესაბამისად ამ ხარჯის გაწვევის საჭიროება მიმდინარე წელს არ არის.

მსგავსი მაგალითები მრავალად არის პროგრამულ ბიუჯეტში, ამიტომ საჭიროა მისი დახვეწა და არგუმენტაციებით გამდიდრება. უნდა განისაზღვროს ბენეფიციარების ზუსტი რაოდენობა, დასაბუთდეს სხვადასხვა მიმართულებით ბიუჯეტის ზრდის საჭიროება, დაემატოს: რაოდენობრივ, ხარისხობრივ ხარჯზე მიბმული, ეფექტიანობის და ეფექტურობის ინდიკატორები. პროგრამულ ბიუჯეტში მოცემული ინფორმაცია უნდა იყოს სასარგებლო, შედეგზე ორიენტირებული, ნათელი და გაზომვადი, შესაბამისი, მიღწევადი და შედარებითი.

საბიუჯეტო პარამეტრები


2014 წლის ბიუჯეტის პროექტი და ძირითადი მიმართულებები

2013 წელს ბიუჯეტის შემოსულობები 8997,2 ათასი ლარით დაიგეგმა, ხოლო 2014 წელს 4755,4 ათასი ლარით და დახლოებით 47%-ით არის შემცირებული წინა წლის გეგმასთან შედარებით. ერთ-ერთი მიზეზი არის გრანტების მოსალოდნელი შემცირება 2013 წელს 8132,6 ათასი ლარიდან 2014 წელს 3313,4 ათას ლარამდე. ეს კლება არის დახლოებით 59% -ი. ეს გამოწვეულ იქნა რეგიონების (3989,4 ათასი ლარი) და სოფლის მხარდაჭერი პროგრამის (643,3 ათასი ლარი) ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერების შემცირების ხარჯზე. მიუხედავად ამისა, 2014 წელს ხარჯები გაზრდილია 2013 წელთან შედარებით. შესაბამისად ხარჯები იყო 3597,6 ათასი ლარი და გახდა 4697,9 ათასი ლარი (2014 წ.), ანუ გაიზარდა დაახლოებით 31% ით, გაზრდილია შრომის ანაზღაურება 1080,3 ათასი ლარიდან 1669,5 ათას ლარამდე, ანუ დაახლოებით 55%-ით. შემცირებულია საქონელზე და მომსახურებაზე გაწეული ხარჯები 701,8 ათასი ლარიდან 641,5 ათას ლარამდე ანუ დაახლოებით 9%-ით. ასევე გაზრდილია სუბსიდიები 1615,5 ათასი ლარიდან 2039,5 ათას ლარამდე, ანუ დაახლოებით 26%-ით. გაზრდილია სოციალური უზრუნველყოფა 200 ათასი ლარიდან 317 ათას ლარამდე, ანუ დაახლოებით 59% ით.

ჩოხატაურის ბიუჯეტის 2014 წლის ასიგნებები **4765,4 ათასი ლარი 41% ჩოხატაურის წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ორგანოების დაფინანსებას ხმარდება.** აქედან 29% გამგეობას, 11% საკრებულოს, ხოლო 1% სარეზერვო ფონდისთვის არის გათვალისწინებული.

2014 წლის ბიუჯეტის გეგმა გვაწვდის ინფორმაციას, რომ ბიუჯეტი ორიენტირებულია და სამ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს: (1) კულტურაზე, რელიგიაზე, ახალგაზრდულ და სპორტულ ღონისძიებებზე – 955,8 ათასი ლარი – 20% ; (2) განათლება – 722,9 ათასი ლარი – 15% და (3) თავდაცვა, ინფრასტრუქტურა და ჯანდაცვა 8-8%-ით დაახლოებით 350 ათასი ლარი თითოეულს (იხ. გრაფიკი №1).

გრაფიკი №1. 2014 წლის ჩოხატაურის ბიუჯეტის პროექტის განაწილება პროგრამების მიხედვით




ბიუჯეტის 9 თვის შესრულებიდან ჩანს, რომ ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაზე დახარჯული თანხა ხარჯების 57%-ია. მაგრამ ეს გამოწვეულია ძირითადად 5 137,6 ათასი ლარის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი და სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) გამოყოფილი ტრანსფერის გამო, რაც ძირითადად ორი მიმართულებით დაიხარჯა: (1) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა/შენახვა – 2089,8 ათასი ლარი და (2) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება – 1751,7 ათასი ლარი. თუ ამ ნაწილში მხოლოდ საკუთარი შემოსავლების მიხედვით შევხედავთ ხარჯვას, მაშინ პროცენტული გადანაწილება შემდეგნაირი იქნება: ჯანდაცვა – 8%, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოს დაფინანსება – 42%, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 6%, ინფრასტრუქტურა – 8%, განათლება – 14%, კულტურა – 22% და აღმასრულებელ ორგანოში დანაწილება იქნება 29% გამგეობა, 12% საკრებულო და 1% სარეზერვო ფონდი. 2014 წლის გეგმას და სამი კვარტლის შესრულების რეალურ მაჩვენებელს შორის პროცენტულ გადანაწილებაში არაუმეტეს 2%-იანი სხვაობაა (იხ. გრაფიკი №2). 9 თვის შესრულების ანგარიშის მიხედვით:

- 1751,7 ათასი ლარი მოხმარდა საცხოვრებელ შენობებს;
- 2079,6 ათასი ლარი გზებს;
- 218,3 ათასი ლარი კომუნალურ სამსახურს „სხივს“;
- 618,4 ათასი ლარი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებს;
- 462,8 ათასი ლარი სკოლამდელი განათლების დაფინანსებას;
- 88,6 ათასი ლარი კულტურის ღონისძიებების დაფინანსებას და 277,5 ათასი ლარი სპორტული ობიექტების დაფინანსებას;
- 207,1 ათასი ლარი კულტურის ღონისძიებების და 207,1 ათასი ლარი კულტურის ობიექტების დაფინანსებას;

- 205,7 ათასი ლარი სოციალურ პროგრამებს, მათ შორის 144,6 ათასი ლარი სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი, მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახებისადმი ერთჯერადი დახმარება, გადაუდებელ შემთხვევაში ბინის შესყიდვის ან დაქირავების ხარჯი და 91,3 ათასი ლარი სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი.


გრაფიკი №2. 2014 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულება პროგრამების მიხედვით



ბიუჯეტის შემოსულობები

ჩოხატაურის ბიუჯეტის შემოსულობების 9 თვის შესრულების მიხედვით 99%-ს შემოსავლებს წარმოადგენს: გადასახადები – 3%, გრანტები - 85% და სხვა შემოსავლები - 12%. დანარჩენი ერთ პროცენტი არაფინანსური აქტივების კლებით არის მიღებული. ფინანსური აქტივების კლება და ვალდებულებების ზრდას ადგილი არქონია. **9 თვის შესრულებით შემოსავლები 8557,5 ათასი ლარია რაც წლის გეგმის 73%-ია** (იხ. გრაფიკი №3).


გრაფიკი №3. 2014 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 9 თვის შემოსავლების განაწილება



გადასახადები

გადასახადების 100%-ს ქონების გადასახადი წარმოადგენს. ქონების გადასახადში 93%-ი საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადია, 4% არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი, 3%-ს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი. 2014 წლის პირველ სამ კვარტალში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახადებით შევიდა 276 ათასი ლარი, აქედან 256,4 ათასი ლარი საქართველოს საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადია (შესრულებულია წლის გეგმა 100%-ით). არასასოფლო – სამეურნეო მიწაზე დაგეგმილი იყო 48 ათასი ლარის გადასახადის ამოღება. მესამე კვარტლის მდგომარეობით შესულია ბიუჯეტში 10,9 ათასი ლარი, ანუ წლის გეგმის დაახლოებით 23%. გადასახადები 2013 წელს 303 ათასი ლარი იყო დაგეგმილი, ხოლო 2014 წელს ის მცირდება 270 ათასი ლარამდე (იხ. გრაფიკი №4). რაც შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა ფაქტორის გამო, მათ შორის: (1) ადმინისტრირების და ამოღების პრობლემა რის გამოც ვერ ხერხდება ყოველწლიურად გადასახადების ამოღების ოდენობის დადგენა, (2) მოსალოდნელია ბიზნესაქტივობის შემცირება, (3) არასწორად არის დაგეგმილი ბიუჯეტი გადასახადების ნაწილში და ა.შ.


გრაფიკი №4. ქონების გადასახადი



გრანტები


9 თვის შესრულების მიხედვით გრანტების 7249 ათასი ლარის დაახლოებით 100% სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერია (მხოლოდ 2,9 ათასი ლარი იქნა მიღებული საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობებიდან გრანტის სახით). მათ შორის 38%-ი ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერი – 2755,8 ათასი ლარი, რაც წლის განმავლობაში დაგეგმის 88%-ია, 62% ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი და სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) – 4490,3 ათასი ლარი, რაც წლის განმავლობაში დაგეგმილის 67%-ია. სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ტრანსფერი ჯამურად 7246,1 ათასი ლარი იყო მესამე კვარტალში, რაც 2014 წელ ჯამურად დაგეგმილის 72%-ია (იხ. გრაფიკი №5).

გრაფიკი №5. გრანტები
 მ.შ ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები




ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერი 2014 წლის მესამე კვარტლის შესრულების მიხედვით 2755,8 ათასი ლარი იყო (წლის გეგმის 83%) დაგეგმილის , აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 2618,1 ათასი ლარი (წლის გეგმის 84%), ხოლო მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად 137,7 ათასი ლარი (წლის გეგმის 75%) (იხ. გრაფიკი №6).

გრაფიკი №6. ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები



ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერის ოდნობამ 4490,3 ათასი ლარი (წლის გეგმის 67%) შეადგინა, მათგან 3898,2 ათასი ლარი (წლის გეგმა 64%) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხებია, ხოლო 592,1 ათასი ლარი (წლის გეგმის 94%) სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხაა (იხ. გრაფიკი №7).


გრაფიკი №7. ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერები



სხვა შემოსავლები


სხვა შემოსავლები სამი კვარტლის შესრულების მიხედვით 1032,5 ათასი ლარია (შემოსავლების 12%), მათგან უმეტესი ნაწილი 93%-ი 964,7 ათასი ლარი არის შემოსავალი საკუთრებიდან, 6% ჯარიმები სანქციები და საურავები 60,9 ათასი ლარია, 1% საქონელი და მომსახურების რეალიზაცია 6,7 ათასი ლარია (იხ. გრაფიკი №8).

გრაფიკი №8. სხვა შემოსავლები



შემოსავლები საკუთრებიდან 964,7 ათასი ლარია, მათგან 3% 31,6 ათასი ლარი პროცენტით მიღებული შემოსავალია, ხოლო 97% 993,1 ათასი ლარი მოსაკრებელით ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის (იხ. გრაფიკი №9).

გრაფიკი №9. შემოსავალი საკუთრებიდან




ფინანსური აქტივების კლება და ვალდებულებების ზრდა არ მომხადარა 2014 წლის პირველი სამი კვარტლიდან არცერთ კვარტალში. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს არ გააჩნია დავალიანება.

საბიუჯეტო ხარჯები

მესამე კვარტლისათვის ნაზრდი ჯამით ხარჯებმა შეადგინა 3917,4 ათასი ლარი (წლის გეგმის 77%) შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა 35% 1362,8 ათასი ლარი, 15% საქონელზე და მომსახურებაზე 572,1 ათასი ლარი, 44% სუბსიდიებზე – 1731,8 ათასი ლარი, 6% სოციალურ უზრუნველყოფაზე (დახმარება ფულადი ფორმით) – 250,7 ათასი ლარი (იხ. გრაფიკი №10).

გრაფიკი №10. 2014 წლის საბიუჯეტო ხარჯების გადანაწილება მესამე კვარტლის შესრულების შედეგად




შრომის ანაზღაურება

შრომის ანაზღაურება 2014 წლის ჯამური პირველი, მეორე და მესამე კვარტლის დაგეგმვით შემდეგნაირად განისაზღვრა შესაბამისად 1702,5 ათასი, 1784,3 ათასი და 1784,3 ათასი ლარი. ანუ მეორე კვარტლის შესრულების ანგარიშში ჩანს, რომ ბიუჯეტის პროექტის დაგეგმვაში მოხდა ცვლილება და სახელფასო ფონდი გაიზარდა 81,8 ათასი ლარით ვიდრე ის იყო დაგეგმილი წლის დასაწყისში (იხ. გრაფიკი №11).

- პირველ კვარტალში გაიცა ანაზღაურება ფულადი სახით 435 ათასი ლარი:
მათ შორის:
 - ✓ თანამდებობრივი სარგო: 334 ათასი ლარი
 - ✓ წოდებრივი სარგო: 7,1 ათასი ლარი
 - ✓ პრემია: 93,9 ათასი ლარი
- მეორე კვარტალში ნაზრდი ჯამით გაიცა ანაზღაურება ფულადი სახით 996,6 ათასი ლარი:
მათ შორის:
 - ✓ თანამდებობრივი სარგო: 871,8 ათასი ლარი
 - ✓ წოდებრივი სარგო: 14,2 ათასი ლარი
 - ✓ პრემია: 110,6 ათასი ლარი
- მესამე კვარტალში ნაზრდი ჯამით გაიცა ანაზღაურება ფულადი სახით 1362,8 ათასი ლარი:
მათ შორის:
 - ✓ თანამდებობრივი სარგო: 1178,6 ათასი ლარი
 - ✓ წოდებრივი სარგო: **საერთოდ ამოღებულია ჩამონათვალიდან!**
 - ✓ პრემია: 184,2 ათასი ლარი


გრაფიკი №11. შრომის ანაზღაურება (ხელფასი ფულადი სახით) % 2014 წლის დაგეგმილ სახელფასო ფონდთან შედარებით



2014 წლის მესამე კვარტლისათვის წლის პრემიების რაოდენობა დაიგეგმა 118,1 ათასი ლარით ხოლო გაიცა 184,2 ათასი ლარი, ანუ 56%-ით უფრო მეტია დახარჯული პრემიებზე ვიდრე დაიგეგმა. წოდებრივი სარგო მეორე კვარტლის მდგომარეობით 14,2 ათასი ლარი იყო გაცემული, თუმცა მესამე კვარტლის შესრულების ანგარიშში ეს მუხლი ამოღებულია. 9 თვის

მდგომარეობით ხელფასის და პრემიის ჯამური ოდენობიდან 14% არის პრემია (იხ. გრაფიკი №12).

გრაფიკი №12. პრემიებზე გაცემული თანხები და % 2014 წლის გეგმასთან შედარებით




სხვა ხარჯები

საქონელზე და მომსახურებაზე დაიხარჯა 572,1 ათასი ლარი, მათ შორის 145.8 ათასი ლარი არის სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე გაწეული ხარჯი, რაც მთლიანი ხარჯის 10,7%-ია, რაც ზრდის კორუფციის რისკს, რადგან ეს ხარჯები არაკლასიფიცირებულია და დაბალია გამჭვირვალობა. ოფისის ხარჯი რომელიც არ არის კლასიფიცირებული 115,8 ათასი ლარია, რაც ოფისის ხარჯების 61,2%-ს შეადგენს. აქაც ინფორმაციულობის დაბალი დონეა და არ არის ნათელი თუ რაში დაიხარჯა ეს თანხები. ამ ინფორმაციის მისაღებად საჭიროა დამატებითი ინფორმაციის (შესყიდვების დოკუმენტაციის) გამოთხოვა. უმჯობესი იქნებოდა, ეს ინფორმაცია იყოს ასახული ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში.

არაფინანსური აქტივები

2014 წელს დაგეგმილი იყო 6675,3 ათასი ლარით ძირითადი აქტივების ზრდა, მესამე კვარტლისათვის შესრულდა 67%-ით ანუ 4475,3 ათასი ლარით გაიზარდა ძირითადი აქტივები, აქედან შენობა ნაგებობები 99% – 4449,7 ათასი ლარი და 1% მანქანა- დანადგარები და ინვენტარი - 25,6 ათასი ლარი (იხ. გრაფიკი №13).


გრაფიკი №13. ძირითადი აქტივების ზრდა მესამე კვარტლის ნაზრდი ჯამით მდგომარეობით



შენობა-ნაგებობები

2014 წლის მესამე კვარტლისათვის შენობა-ნაგებობებზე დაიხარჯა 4449.7 ლარი (წლის გეგმის 70%), აქედან 39% 1751.7 ათასი ლარი საცხოვრებელ შენობა-ნაგებობებზე, 47% 2079.6 ათასი ლარი გზებზე და 14% 618.4 ათასი ლარი სხვა შენობა-ნაგებობებზე, რომელიც არ არის კლასიფიცირებული. ასევე დაგეგმილი იყო 20,4 ათასი ლარის დახარჯვა ელექტრო გადამცემ ხაზებზე და 1555 ათასი ლარის არასაცხოვრებელ შენობებზე, მაგრამ დახარჯულია 0 ლარი (იხ. გრაფიკი №14).


გრაფიკი №14. 2014 წლის არაფინანსური აქტივების ზრდა კონკრეტულად შენობების მუხლით მესამე კვარტლის შესრულების შედეგად



მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

მანქანა-დანადგარებზე და ინვენტარზე დაიხარჯა 25,6 ლარი, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებები (მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილები) 67% – 17,1 ლარი, 27% კომპიუტერის შეძენა - 7 ათასი ლარი და 6% სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის შეძენა რომელიც არ არის კლასიფიცირებული 1,5 ათასი ლარი. წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო 315 ათასი ლარის ღირებულების ბუღდოზერები და სხვა დანარჩენი სპეცტექნიკის შეძენა. თუმცა მესამე კვარტლის მდგომარეობით დახარჯულია 0 ლარი (იხ. გრაფიკი №15).

გრაფიკი №15. 2014 წლის არასინანსური აქტივების ზრდა კონკრეტულად მანქანა დანადგარები და ინვენტარი მუხლით მესამე კვარტლის შესრულების შედეგად




ბიუჯეტის ანალიზი პროგრამების და ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

პროგრამები

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

2014 წლის ბიუჯეტში პროგრამა თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 340,5 ათასი ლარით განისაზღვრა და მესამე კვარტლის მდგომარეობით დაიხარჯა დაგეგმილის 73%, ანუ 248,3 ათასი ლარი. ის შედგება ორი ქვეპროგრამისაგან: 59% საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური - 208,2 ათასი ლარით, რომელიც მესამე კვარტლის მდგომარეობით 72%-ი დაიხარჯა 149,7 ათასი ლარი და 41% ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა - 132,3 ათასი ლარი, რომელიც მესამე კვარტლის მდგომარეობით 75%-ი დაიხარჯა 98,6 ათასი ლარი (იხ. გრაფიკი №16).

**გრაფიკი №16. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება
9 თვის შესრულება ათას ლარებში და წლის გეგმის %**




ინფრასტრუქტურის მშენებობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

2014 წლის ბიუჯეტში პროგრამა ინფრასტრუქტურის მშენებობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 5543,8 ათასი ლარით განისაზღვრა და მესამე კვარტლის მდგომარეობით დაიხარჯა დაგეგმილის 73%, ანუ 4767,9 ათასი ლარი (იხ. გრაფიკი №17 და ცხრილი №1). ის შედგება ექვსი ქვეპროგრამისაგან:

ცხრილი №1. ინფრასტრუქტურის მშენებობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის პროგრამის 2014 წლის დაგეგმილი ბიუჯეტი, ქვეპროგრამის %-ული ოდენობა პროგრამაში, 9 თვის შესრულება და 9 თვის შესრულების %-ი წლის გეგმასთან შედარებით.

პროგრამა	2014 წელს დაგეგმილი	%-ი პროგრამაში	9 თვის შესრულება	9 თვის შესრულების %
ინფრასტრუქტურის მშენებობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	5543.8	100%	4767.9	86%
საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა	2688.3	49%	2089.8	78%
კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	335.8	6%	282.5	84%
მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	103.4	2%	25.5	25%
სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	629.9	11%	618.4	98%
რეგიონალური განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება	0	0%	0	100%
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	1786.4	32%	1751.7	98%

გრაფიკი №17. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია
9 თვის შესრულება ათას ლარებში და წლის გეგმის %




განათლება

2014 წლის ბიუჯეტში პროგრამა განათლება 1304,4 ათასი ლარით განისაზღვრა და მესამე კვარტლის მდგომარეობით დაიხარჯა დაგეგმილის 41%, ანუ 535,3 ათასი ლარი (იხ. გრაფიკი №18 და ცხრილი №2). ის შედგება სამი ქვეპროგრამისაგან:

ცხრილი №2 განათლების პროგრამის 2014 წლის დაგეგმილი ბიუჯეტი, ქვეპროგრამის %-ული ოდენობა პროგრამაში, 9 თვის შესრულება და 9 თვის შესრულების %-ი წლის გეგმასთან შედარებით.

პროგრამა	2014 წელს დაგეგმილი	%-ი პროგრამაში	9 თვის შესრულება	9 თვის შესრულების %
განათლება	1304.4	100%	535.3	41%
სკოლამდელი განათლების დაფინანსება	1218.8	93%	462.8	38%
ზოგადი განათლების ხელშეწყობა	12.2	1%	9.6	79%
მოსწავლე ახალგაზრდების სახლი	73.4	6%	62.9	86%

გრაფიკი №18. განათლება
9 თვის შესრულება ათას ლარებში და წლის გეგმის %



კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები


2014 წლის ბიუჯეტში პროგრამა განათლება 2034,4 ათასი ლარით განისაზღვრა და მესამე კვარტლის მდგომარეობით დაიხარჯა დაგეგმილის 43%, ანუ 882,7 ათასი ლარი (იხ. გრაფიკი №19 და ცხრილი №3). ის შედგება ოთხი ქვეპროგრამისაგან:

ცხრილი №3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები პროგრამის 2014 წლის დაგეგმილი ბიუჯეტი, ქვეპროგრამის %-ული ოდენობა პროგრამაში, 9 თვის შესრულება და 9 თვის შესრულების %-ი წლის გეგმასთან შედარებით.

პროგრამა	2014 წელს დაგეგმილი	%-ი პროგრამაში	9 თვის შესრულება	9 თვის შესრულების %
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	2034.3	100%	882.7	43%
სპორტის განვითარების ხელშეწყობა	425.7	42%	366.1	86%
კულტურის განვითარების ხელშეწყობა	1569.6	55%	488.6	31%
ახალგაზრდული პროგრამების და ტურიზმის პროექტების თანადაფინანსება	14	1%	9.2	66%
რელიგია	25	2%	18.8	75%

**გრაფიკი №19. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული
ღონისძიებები**

9 თვის შესრულება ათას ლარებში და წლის გეგმის %



მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა


2014 წლის ბიუჯეტში პროგრამა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 393 ათასი ლარით განისაზღვრა და მესამე კვარტლის მდგომარეობით დაიხარჯა დაგეგმილის 77%, ანუ 304,1 ათასი ლარი (იხ. გრაფიკი №20 და ცხრილი №4). ის შედგება რვა ქვეპროგრამისაგან:

ცხრილი №4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის 2014 წლის დაგეგმილი ბიუჯეტი, ქვეპროგრამის %-ული ოდენობა პროგრამაში, 9 თვის შესრულება და 9 თვის შესრულების %-ი წლის გეგმასთან შედარებით.

პროგრამა	2014 წლის დაგეგმილი	%-ი პროგრამაში	9 თვის შესრულება	9 თვის შესრულების %
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	393	100%	304.1	77%
ჯანდაცვის პროგრამები	76	10%	53.4	70%
სოციალური პროგრამები	317	45%	250.7	79%
დაკრძალვის ხარჯი	2	0%	1	50%
ეკონომიურად შეჭირვებულ ოჯახებზე სათბობის შეძენის ხარჯი	0	0%	0	100%
სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი, მძიმე საცხოვრებელ და ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახებისადმი ერთჯერადი დახმარება,	168	26%	144.6	86%

გადაუდებელ შემთხვევაში ბინის შესყიდვის ან დაქირავების ხარჯი				
ლტოლვილთა დახმარება	10.1	0%	0.9	9%
საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება	14.2	2%	12.9	91%
სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხარჯი	122.7	17%	91.3	74%

გრაფიკი №20. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
9 თვის შესრულება ათას ლარებში და წლის გეგმის %




ფუნქციონალური კლასიფიკაცია

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება

2014 წლის ბიუჯეტში ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2162.4 ათასი ლარით განისაზღვრა და მესამე კვარტლის მდგომარეობით დაიხარჯა დაგეგმილის 77%, ანუ 1654.4 ათასი ლარი. ის შედგება ქვე კლასიფიკატორისგან აღმასრულებელი და წარმომადგენლობით ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები, რომელიც თავის მხრივ იყოფა (1) აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების


საქმიანობის უზრუნველყოფა და (2) ფინანსური და ფისკალური საქმიანობა (იხ. გრაფიკი №21).

გრაფიკი №21. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება
9 თვის შესრულება ათას ლარებში და წლის გეგმის %



თავდაცვა


2014 წლის ბიუჯეტში ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით თავდაცვა 132,3 ათასი ლარით განისაზღვრა და მესამე კვარტლის მდგომარეობით დაიხარჯა დაგეგმილის 75%, ანუ 98,6 ათასი ლარი (იხ. გრაფიკი №22).



საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

2014 წლის ბიუჯეტში ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 208,2 ათასი ლარით განისაზღვრა და მესამე კვარტლის მდგომარეობით დაიხარჯა დაგეგმილის 72%, ანუ 149,7 ათასი ლარი. ის შედგება ქვე კლასიფიკატორისგან ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა (იხ. გრაფიკი №23).


გრაფიკი №23. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება
9 თვის შესრულება ათას ლარებში და წლის გეგმის %



ეკონომიკური საქმიანობა

2014 წლის ბიუჯეტში ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 5104,66 ათასი ლარით განისაზღვრა და მესამე კვარტლის მდგომარეობით დაიხარჯა დაგეგმილის 87%, ანუ 4459,9 ათასი ლარი. ის შედგება ქვე კლასიფიკატორისგან: ტრანსპორტი, რომელიც თავის მხრივ მოიცავს საავტომობილო ტრანსპორტი და გზები და სხვა არაკლასიფიცირებულის საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში (იხ. გრაფიკი №24).


გრაფიკი №24. ეკონომიკური საქმიანობა
9 თვის შესრულება ათას ლარებში და წლის გეგმის %



საბინაო-კომუნალური მეურნეობა

2014 წლის ბიუჯეტში ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით საბინაო-კომუნალური მეურნეობა 439,2 ათასი ლარით განისაზღვრა და მესამე კვარტლის მდგომარეობით დაიხარჯა დაგეგმილის 70%, ანუ 308 ათასი ლარი. ის შედგება ქვე კლასიფიკატორისგან: ბინათმშენებლობა, კომუნალური მეურნეობის განვითარება და სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში (იხ. გრაფიკი №25).


გრაფიკი №25. საბინაო-კომუნალური მეურნეობა
9 თვის შესრულება ათას ლარებში და წლის გეგმის %



ჯანმრთელობის დაცვა

2014 წლის ბიუჯეტში ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ჯანმრთელობის დაცვაზე 76 ათასი ლარით განისაზღვრა და მესამე კვარტლის მდგომარეობით დაიხარჯა დაგეგმილის 70%, ანუ 53,4 ათასი ლარი. ის შედგება ქვე კლასიფიკატორისგან: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (იხ. გრაფიკი №26).


გრაფიკი №26. ჯანმრთელობის დაცვა
9 თვის შესრულება ათას ლარებში და წლის გეგმის %



დასვენება, კულტურა და რელიგია

2014 წლის ბიუჯეტში ფუნქციონალური კლასიფიკაციის დასვენება, კულტურა და რელიგია 2034,3 ათასი ლარით განისაზღვრა და მესამე კვარტლის მდგომარეობით დაიხარჯა დაგეგმილის 43%, ანუ 882,7 ათასი ლარი. ის შედგება ქვე კლასიფიკატორისგან: მომსახურება დასვენების და სპორტის სფეროში, მომსახურება კულტურის სფეროში და რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა (იხ. გრაფიკი №27).


გრაფიკი №27. დასვენება, კულტურა და რელიგია
9 თვის შესრულება ათას ლარებში და წლის გეგმის



განათლება

2014 წლის ბიუჯეტში ფუნქციონალური კლასიფიკაციის დასვენება, კულტურა და რელიგია 1304,4 ათასი ლარით განისაზღვრა და მესამე კვარტლის მდგომარეობით დაიხარჯა დაგეგმილის 41%, ანუ 535,3 ათასი ლარი. ის შედგება ქვე კლასიფიკატორისგან: სკოლამდელი აღზრდა, ზოგადი განათლება, რომელიც მოიცავს საშუალო ზოგად განათლებას და სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობას განათლების სფეროში (იხ. გრაფიკი №28).

გრაფიკი №28. განათლება
9 თვის შესრულება ათას ლარებში და წლის გეგმის %




სოციალური დაცვა

2014 წლის ბიუჯეტში ფუნქციონალური კლასიფიკაციის დასვენება, კულტურა და რელიგია 317 ათასი ლარით განისაზღვრა და მესამე კვარტლის მდგომარეობით დაიხარჯა

დაგეგმილის 79%, ანუ 250,7 ათასი ლარი. ის შედგება ქვე კლასიფიკატორისგან: სოციალური გაუცხოების საკითხები, რომელიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას და სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში (იხ. გრაფიკი №29).

გრაფიკი №29. სოციალური დაცვა
9 თვის შესრულება ათას ლარებში და წლის გეგმის %



რეკომენდაციები 2015 წლის ბიუჯეტისთვის

- ✓ უნდა მოხდეს დაგეგმილი ხარჯების დროული ათვისება.
- ✓ საჭიროა რეალისტურად დაიგეგმოს სააგდასახადო შემოსავლების ნაწილი;
- ✓ არაკლასიფიცირებული ხარჯების ოდენობა საკმაოდ დიდია, ასე რომ სასურველია დასაბუთდეს არაკლასიფიცირებული ხარჯები.
- ✓ უნდა დასაბუთდეს პრემიების და ზოგადად შრომის ანაზღაურების არსებული დონე, ზრდის აუცილებლობა და პრემიების ნაწილში გადახარჯვა.
- ✓ პროგრამული ბიუჯეტი უნდა გახდეს უფრო მეტად დასაბუთებული: და მოიცავდეს მნიშვნელოვან ინფორმაციას კონკრეტული საქმიანობების, მათი საჭიროებების, ინდოკატორების და ა.შ. შესახებ;
- ✓ მუნიციპალიტეტმა უნდა შეიმუშაოს ფინანსური დამოუკიდებლობის სტრატეგია და დამატებით მოიზიდოს გრანტები, სხვადასახვა მოსაკრებლები და ა.შ.
- ✓ სასურველია ადმინისტრაციული ხარჯები შემცრიდეს პროპორციულად სხვა თანხებთან შედარებით და მეტი თანხა უნდა მოხმარდეს მოსახლობის კეთილდღეობას.